ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“
American International High School-College „Progress“

PTA დებულება

2021წ.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას წარმოადგენს მშობელთა და სკოლის მასწავლებელთა ინტერესებს;
2. მშობელთა და მასწავლებელთა ასიციაცია არის არაკომერციული გაერთიენება, რომელიც საკუთარ ფუქციებს და ვალდებულებებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად და მის ფარგლებში;
3. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაციას და მუშაობს სკოლასთან შეთანხმებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების შესაძლებლობის გაზრდას;

მუხლი 2. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის მიზნები

1. ასოციაციის ძირითადი მიზნებია:
   1.1. უზრუნველყოფილ იყოს უწყვეტი კავშირი მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლას შორის, რათა შეიქმნას ურთიერთთანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის მოქნილი საკომუნიკაციო პლატფორმა;
   1.2. გაზარდოს მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლობითი როლი სასწავლო პროცესში;
   1.3. იყოს მშობელთა და მასწავლებელთა ნების გამომხატველი სკოლასთან ურთიერთობისას;
   1.4. ხელი შეუწყოს როგორც ბავშვების ჯანმრთელობას სკოლასა და სასკოლო საზოგადოებას შორის თანამშრომლობას.
   1.5. ხელი შეუწყოს ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობას სასკოლო სივრცეში;
   1.6. მასწავლებლებმა და მშობლება მონაწილეობა მიიღონ სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება;
   1.7. დაიცვას კანონები, რომლებიც აძლიერებენ განათლებას, ბავშვების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და ბავშვებისა და ახალგაზრდების უსაფრთხოებას;
   1.8. მასწავლებელთა შორის, ასევე, მშობლებთან ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;
   1.9. ხელი შეუწყოს ოჯახებისა და მასწავლებლების თანამშრომლობას და ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობას განათლებაში;
   1.10. შექმნას მშობელსა და სკოლას შორის ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალება;
   1.11. მოიზიდონ ფინანსები სხვადასხვა ღონისძიებისა თუ პროექტებისთვის;

მუხლი 3. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის წევრები და არჩევის წესი

1. ასოციაცია დისკრიმინაციის გარეშე ღიაა სკოლის ყველა მოსწავლის მშობელისა და სკოლის ყველა მასწავლებლისთვის;

2. მიზანშეწონილია ასოციაციაში წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელ მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები;
3. ასოციაციის წევრობა უფასოა და არ ანაზღაურდება;
4. ასოციაციის წევრი შეიძლება იყვნენ სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის მშობლები და დასაქმებული მასწავლებლები. ყველა მოსწავლის მშობელსა და მასწავლებელს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის არჩევნებში და მის ფუნქციონირებაში.
5. ასოციაციის წევრებად შესაძლებელია არჩეულ იქნან სკოლის მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც ან თავად წარადგენენ თავიანთ კანდიდატურას ან წარედგინებიან მშობელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ, ასევე, მასწავლებლები, რომლებიც ან თავად წარადგენენ თავიანთ კანდიდატურას ან წარედგინებიან მასწავლებელთ საინიციატივო ჯგუფის მიერ;
6. არჩევნებს ნიშნავს სკოლის დირექტორი, ხოლო ჩატარებას უზრუნველყოფს აკადემიური დირექტორი და ადამიანური რესურსების მართვისა ორგანიზაციული განვითარების ხელმძღვანელი, რომლებიც მოსწავლეთა მშობლებსა და მასწავლებლებს უგზავნიან სპეციალურად მომზადებულ კითხვარს, (შესაძლებელია, კითხვარი გაიგზავნოს ინტერნეტ პლატფორმების საშუალებით, მაგ: Google Forms ან Microsoft Forms) სადაც მშობლები და მასწავლებლები აფიქსირებენ მათთვის სასურველ კანდიდატებს შესაბამისი რაოდენობით.
7. ასოციაციის არჩევნები ტარდება ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, სამ წელიწადში ერთხელ.
8. ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობს ფარულად, თანაბარი ხმის მიცემის უფლების საფუძველზე.
9. მშობელი აირჩევა საფეხურის მიხედვით, თითოეულ საფეხურზე 2, ჯამში სამივე საფეხურიდან 6 მშობელი;
10. მასწავლებელი აირჩევა კათედრებზე, თითოეული კათედრა ირჩევს 1 მასწავლებელს.
11. შესაბამისი საფეხურის მოსწავლის მშობელი ხმას აძლევს შესაბამის მშობელ კანდიდატს, შესაბამისი კათედრის წევრი მასწავლებელი ხმას აძლევს აღნიშნული კათედრის წევრ კანდიდატ მასწავლებელს.
12. ასოციაციის წევრებად აირჩევიან ის პირები, რომლებიც მეტ ხმას დააგროვებენ მათ კონკურენტებთან შედარებით.
13. ხმების თანაბარი რაოდენობის დაფიქსირების შემთხვევაში, ეწყობა ხელახალი კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ის კანდიდატი, რომლებსაც მიღებული აქვთ ხმათა თანაბარი რაოდენობა.
14. კანდიდატებს აქვთ უფლება, აწარმოონ საარჩევნო კამპანია საკუთარი თავის ან სხვა კანდიდატთა მხარდასაჭერად.
15. მშობელს უფლებამოსილება უწყდება მისი შვილის (მოსწავლის) მობილობის, სტატუსის შეჩერების, ამორიცხვის შემთხვევაში, ხოლო მასწავლებეს, მასსა და სკოლას შორის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.
16. შესაძლებლობის შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი წევრით (მასწავლებლის შემთხვევაში, მასწავლებლით, ხოლო მშობლის შემთხვევაში - მშობლით) ჩანაცვლება ჩატარებულ არჩევნებში დაფიქსირებული შედეგის მიხედვით ხმათა რაოდენობით მომდევნო კანდიდატით ან სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები.
17. ასოციაცია ირჩევს პრეზიდენტს და მდივანს 3 წლის ვადით, რომლებიც ხელს აწერენ სხდომის ოქმებს.
18. საკითხის გადაწყვეტისას მშობლებსა და მასწავლებლებს გააჩნიათ თანაბარი ხმის უფლება;

მუხლი 4. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის უფლებამოსილებები

1. ასოციაცია უფლებამოსილია:
   1.1. წარადგინოს წინადადებები სკოლის ადმინისტრაციასთან მშობლებისა და მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
   1.2. დაგეგმოს და ჩაატაროს სხვადასხვა სახის ღონისძიება (მოწვიოს სპიკერი, დაგეგმოს სოციალური კამპანია და ა.შ) და უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეთა ჩართვა ამ კამპანიებში;
   1.3. საფეხურებისა და საგნების შესაბამისად განიხილონ სახელმძღვანელოები და არსებული სასწავლო რესურსები; საჭიროების შემთხვევაში, წარადგინონ რეკომენდაციები.
   1.4. სკოლის ადმინისტრაციას მიმართოს ინიციატივით კონკრეტული ღონისძიების გატარების შესახებ;
   1.5. ჩაატაროს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლას, მასწავლებლებსა და მშობელთა შორის კავშირის გაღრმავებას და სკოლას მისცემს შესაძლებლობას, მშობლებისგან მიიღოს ადეკვატური უკუკავშირი სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
   1.6. ხელი შეუწყოს სკოლის ადმინისტრაციას სოციალური აქტივობების, კამპანიების, პროექტებისა და სადღესასწაულო თუ სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებაში;
   1.7. მოახდინოს იმ რესურსების იდენტიფიცირება და სკოლისათვის გაზიარება, რომლებმაც, შესაძლოა, პოზიტიური როლი იქონიონ სკოლის განვითარებაზე;
   1.8. მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით იზრუნონ სკოლაში სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებაზე.
   1.9. საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილებები სწავლა-სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად;
   1.10. უზრუნველყოს მშობელთა და მასწავლებელთა შეხვედრების, დისკუსიების ორგანიზება აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით და გამოთქმული რჩევები, მოსაზრებები წარუდგინოს სკოლის ადმინისტრაციას;
   1.11. სკოლის ტოპმენეჯმენტს წარუდგინონ წინადადებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სასწავლო პროცესს;
   1.12. ინიცირება გაუკეთოს სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვას, ინტერაქციული პროექტები, ღონისძიებები, ექსკურსიები სოციალური კამპანიები და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია ხელს უწყობს და შესაბამის დახმარებას უწევს სკოლას ორგანიზებისას;
   1.13. წარუდგინოს სკოლს ინიციატივები სასწავლო პროცესის დაგეგმვა/გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით;
   1.14. აწარმოოს კამპანია, რომელიც არ ეწინააღმდეგება სკოლის პრინციპებსა და მიზნებს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს მის განვითარებაში;
   1.15. მონაწილეობა მიიღოს მისიია განხილვაში;
   1.16. მონაწილეობა მიიღოს სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების განხილვაში;
2. სკოლის მიმართვის შემთხვევაში, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია ერთვება სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

PTA დებულება

3. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის მოსაზრებას აქვს საკონსულტაციო/სარეკომენდაციო ხასიათი.

მუხლი 5. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის უფლებები და მოვალეობები

1. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
   1.1. ასოციაციის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისარგებლოს თანაბარი ხმის უფლებით;
   1.2. შევიდეს ინიციატივებით სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რომელიც გამომდინარეობს ასოციაციის უფლებამოსილებებიდან;
   1.3. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის სამუშაო გეგმის შემუშავებაში;
2. ასოციაციის წევრი ვალდებულია:
   2.1. დაესწროს ასოციაციის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს განსახილველი საკითხის გადაწყვეტაში;
   2.2. იზრუნოს ასოციაციის ეფექტურად ფუნქციონირებაზე და მონაწილეობა მიიღოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში.

მუხლი 6. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი და მდივანი

1. ასოციაციის პრეზიდენტს და მდივანს სამი სასწავლო წლის ვადით, პირველი სხდომის გამართვისას ირჩევს მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია.
2. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი:
   2.1. უძღვება ასოციაციის სხდომებს;
   2.2. ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
   2.3. უზრუნველყოფს ასოციაციის სხდომების ორგანიზებას და დროულ ჩატარებას;
   2.4. უზრუნველყოფს ასოციაციის სამუშაო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობის მონიტორინგს;
   2.5. უზრუნველყოფს ასოციაციის ეფექტურად ფუნქციონირებას;
   2.6. კოორდინირებას უწევს ასოციაციის მუშაობას და უზრუნველყოს ფუნქციების ეფექტურად გადანაწილებას ასოციაციის წევრთა შორის, მითითებებს აძლევს ასოციაციის თითოეულ წევრს;
   2.7. ავრცელებს სიახლეებს შესაბამის საინფორმაციო დაფაზე გამოკვრის ან სხვა გზებით;
   2.8. საქმიანობისას იცავს კონფიდენციალურობასა და სხვის პერსონალურ მონაცემებს არამიზნობრივი გამოყენება/დამუშავება/გავრცელებისგან;
   2.9. უზრუნველყოფს წევრების ინფორმირებას შეხვედრების შესახებ. ინდივიდუალური შეტყობინებების გაგზავნით ან სატელეფონო ზარების საშუალებით.
   2.10. ადმინისტრაციას აცნობებს ღონისძიებიდან შემოსავალი თანხის ოდენობას და წარუდგენს გაწეულ ხარჯთან დაკავშირებით ინფორმაციას;

3. ასოციაციის მდივანი:
   3.1. აწარმოებს ასოციაციის დოკუმენტაციას;
   3.2. ამზადებს ასოციაციის სხდომის ოქმებს;

3.3. ასოციაციის წევრებს აცნობს სხდომაზე განსახილველ საკითხებს;
3.4. ასრულებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რომლებიც ამ დებულების მიხედვით, არ გამომდინარეობს სხვა რომელიმე წევრის უფლებამოსილებიდან.

მუხლი 7. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის შემოსავალი

1. ასოციაციის ბიუჯეტის შემოსავლის წყარო შესაძლებელია იყოს:
   1.1. სკოლის ბიუჯეტიდან კონკრეტული მიზნობრიობით გამოყოფილი თანხა;
   1.2. სხვა შემოწირულობები (მათ შორის ასოციაციის წევრებისა და სხვა პირების მხირდან მიღებული პირადი შემოწირულობები).
2. აუცილებელია, ასოციაციის ბიუჯეტი დამტკიცდეს სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. კომიტეტები და ასოციაციის პრიორიტეტები

1. სასწავლო წლის დასაწყისში შეხვედრაზე ასოციაციის პრეზიდენტი განსაზღვრავს განსახორციელებელ ღონისძიებებს.
2. საჭიროების შესაბამისად, ასოციაციამ შეიძლება აირჩიოს მისთვის სასურველი კომიტეტები. კომიტეტი იქმნება და კომიტეტის წევრები აირჩევა ასოციაციის სხდომაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით. ასოციაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია კომიტეტები (მათ შორის, წევრები) ყოველწელს განახლდეს.
3. პრიორიტეტები/აქტივობები:
   3.1. **Bake Sale:** ფინანსების შეგროვების აქტივობა, რომელიც ტარდება სემესტრში ერთხელ. მშობლებმა შესაძლებელია შესაწირის შეგროვების მიზნით მოაწყონ სხვადასხვა მიზნობრიობის მარკეტი, სიმბოლურ ფასად გაყიდონ სხვადასხვა სახის ნივთები, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის პრინციპებთან და ატარებს გარკვეულ შინაარსს;
   3.1.1 რეკომენდირებულია, აქტივობის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყოს სკოლის საინფორმაციო დაფებზე რამდენიმე დღით ადრე. ასევე, მნიშვნელოვანია აქტივობის ჩატარების თარიღი წინასწარ განთავსდეს სკოლის ონლაინ ჟურნალში;
   3.2. **სტუმართმოყვარეობა:** ეს აქტივობა, ძირითადად, გულისხმობს ასოციაციის მიერ შეთავაზებულ მადლიერების ლანჩს (გამაგრილებელი სასმელითა და კერძებით) სკოლის დამამთავრებელ წლის ბოლო გამოსაშვებ საღამოს. აქტივობა ძირითადად იმართება სკოლის ბუფეტში. ამ დღეს მასწავლებლები ღებულობენ მადლობის ბარათებს. ეს აქტივობა წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს აქტივობის კოორდინატორთან რომელიც მონიტორინგს გაუწევს აქტივობას;
   3.3. **საერთაშორისო დღე:** ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს მოწყობილი აქვს სტენდი, რომელიც წარადგენს საკუთარი ქვეყნის ან რეგიონის, კულინარიულ მრავალფეროვნებას. თითოეული სტენდი შეიძლება მორთული იყოს ეროვნული მახასიათებელი ფერებით ან ნებისმიერი სხვა თემით. ლანჩის შემდეგ ბავშვებისთვის იმართება თამაშები და სხვადასხვა აქტივობები. აღნიშნნული, შესაძლებელია გაგრძელდეს დაახლოებით 2 საათი. პრეზიდენტის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს რომ ღონისძიება ნორმალურ ვითარებაში მიმდინარეობს. ვინაიდან, აღნიშნული არის სახსრების მოზიდვის აქტივობა, ღონისძიებაზე წარმოდგენილ და დამსწრე საზოგადოებას სთხოვენ შესაწირის გაღებას;

3.4. **მისალმება:** პერიოდულად ასოციაციის წევრები აწყობენ ლანჩს, არაფორმალურ ღონისძიებას ასოციაციის ახალი წევრების გაცნობის მიზნით. ასოციაცია ასევე უგზავნის გამოსამშვიდობებელ ბარათებს მშობლებს.

მუხლი 9. ასოციაციის შეხვედრები

1. სკოლა და ასოციაცია ატარებს შეხვედრებს, სადაც მშობელსა და მასწავლებელს შეუძლია დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიაში. მშობელთა ასოციაციის წევრები, ესწრებიან ყველა შეხვედრას. სკოლასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იყოს, შეკითხვების დასმა და აზრის გამოთქმა თავისუფალია ყველასთვის. ასევე, განიხილება ასოციაციის მომავალი ღონისძიებები და დგინდება ღონისძიების ჩატარებისთვის საჭიროებები;
2. სკოლის ყველა წევრი წახალისებულია დაესწროს და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის შეხვედრებში/სხდომებში. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტები, ასევე, მონაწილეობა მიიღონ ფინანსების მოზიდვის აქტივობებში;

მუხლი 10. ასოციაციის დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

1. ასოციაციის დებულებას ამტკიცებს დირექტორი;
2. ასოციაციას დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება აქვთ მშობლებისა და მასწავლებლების ასოციაციის წევრებს .
3. დებულების გაუქმება შესაძლებელია პირველ პუნქტში მითითებული წესით.

PTA დებულება